



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

12.03.2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №24

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

იჯარის ფორმით გაცემის შესახებ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 7 მარტის №02/2643 წერილის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქი ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი №19/რუსთაველის ქ. №89-ში პირველ სართულზე მდებარე 136,68 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.31.49.015,01.516) გაიცეს სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 42 000 (ორმოცდაორი ათასი) ლარის ოდენობით.

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული განკარგულების გადაგზავნა მუნიციპალიტეტის მერისათვის.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე:

*Handwritten signature*



მამუკა წოწერია